



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 29 იანვარი, 2019 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: ლიბერალური აკადემია - თბილისის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
2. სულხან სალაძე - საქართველოს ახალგაზრდ იურისტთა ასოციაცია
3. მაკა ჯახუა - ასოციაცია და რადიო „მწვანე ტალღა“
4. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
5. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
6. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
7. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
8. ცირა მესხიშვილი - ასოციაცია „ტოლერანტი“
9. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
10. თამარ გაბისონია - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
11. ნუგზარ კოხრიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“

განსახილველი საკითხები:

1. კომისიის ფორმირება (პროგრამული მხარდაჭერა 2020)

2. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საკითხები
3. სხვა საკითხები

საკორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, ლაშა ტულუშმა. მან საკორდინაციო საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მიერ შემუშავდა თვითშეფასების კითხვარი, რომელიც გადაეგზავნათ ექვსივე ქვეყნის პლატფორმებს. საკორდინაციო საბჭომ იმსჯელა შევსებულ კითხვართან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტი გადაიგზავნება ბრიუსელის სამდივნოში.

მმართველი ორგანოს თავმჯდომარემ საკორდინაციო საბჭოს წევრებს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის დელეგატების არჩევის წესი გააცნო რომლის მიხედვითაც მოხდება 2020-2021 წელს შერჩევა. აღნიშნული წესი შეემუშავდა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შიდა რეფორმის ფარგლებში.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის პროგრამული მხარდაჭერის ფარგლებში შემუშავდა და დამტკიცდა დებულების პროექტი საქართველოს ეროვნული პლატფორმის პროგრამული მხარდაჭერის განხორციელების წესის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს პროგრამული მხარდაჭერის განხორციელებას მიმდინარე პროექტის საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ. კომისია ფორმირდება საკორდინაციო საბჭოს 5 წევრისგან და მის შემადგენლობას ამტკიცებს მმართველი კომიტეტი.

კომისიის შემადგენლობა :

1. სულხან სალამე - კომისიის თავმჯდომარე
2. დავით ცისკარიძე
3. ნინო ჩხობამე
4. ნუკრი ყველაშვილი
5. თამარ გაბისონია

საკორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე განიხილეს პარლამენტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში არსებული თანამშრომლობის მექანიზმების გამოყენების სამომავლო გეგმები. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ახალ თავმჯდომარესთან შეხვედრისას განისაზღვრა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. პლატფორმის საკორდინაციო საბჭომ შეიმუშავა იმ საკითხების ნუსხა, რომელ თემებზეც მნიშვნელოვანია სამუშაო შეხვედრების გამართვა სამხრეთი ფორმატის ფარგლებში. აღნიშნული თემები მიეწოდება საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს და უახლოეს მომავალში დაიგეგმება შეხვედრა, რომელზეც მოხდება საბოლოოდ შეხვედრების ფორმატების განსაზღვრა.

მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე განიხილეს ეთიკის კოდექსის მრჩეველის დანიშვნის საკითხი. ფორუმის შიდა რეფორმის შედეგად, ეროვნული პლატფორმები იღებენ ვადებულებას, რომ შეარჩევენ მრჩეველს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს გაუწევს ეროვნული პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს. საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ ეთიკის კოდექსის მრჩეველად დაინიშნება ალექსანდრა კალატოზიშვილი.

შეხვედრის დასასრულს საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, მადლობა გადაუხადა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს შეხვედრაზე მონაწილეობისთვის.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე